შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“
2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიში

ანგარიში მომზადებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ თანამედროვე ქართული პროფესიული საგანმანათლებლო სივრცის სრულიად ახალი, დემოკრატიული იდეალების, ადამიანური უფლებების, თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის მხარდამჭერი სუბიექტია, რომელიც ორიენტირებულია უზრუნველყოს საზოგადოება მაღალ კვალიფიციური პროფესიული განათლებით და ფართო მსოფლმხედველობით, რაც ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია.
კოლეჯის მისიისა და სტრატეგიული გეგმის (2019-2025 წ.წ.) შესასრულებლად კოლეჯმა ჩამოაყალიბა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის მიერ დასახული მიზნების მიღწევის გზებსა და საშუალებებს.
სამოქმედო გეგმაში აღწერილია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით 2021 წელს გასატარებელი ღონისძიებები.
ანგარიშში განხილულია ღონისძიებები, რომლის შესრულების ვალდებულებაც კოლეჯს დაეკისრა 2021 წელს.

2021 წლის ვალდებულებები:

- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
- საგანმანათლებლო რესურსებისა ეფექტური გამოყენება და დისტანციური სწავლების დანერგვა;
- პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური მხარდაჭერა;
- პროფესიული სტუდენტებისათვის შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებათა ორგანიზება;
- პროფესიული მასწავლებლების პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა;
- ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული ტრენინგების მხარდაჭერა;
- კოლეჯის მართვის პროცესების გაუმჯობესება.

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის მხარდაჭერის გაძლიერება
- ვებ-გვერდზე ინფორმაციის მუდმივი განახლება.

პროფესიულ პროგრამებში ცვლილებები არ განხორციელებულა, რადგან არც ჩარჩო დოკუმენტებში არ ყოფილა ცვლილებები და არც პროგრამის ხელმძღვანელებისგან არ ყოფილა ცვლილებების ინიცირება. შემოწმდა სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები, მასწავლებლები და სტუდენტები ძირითადად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს. გაჩნდა დისტანციური სწავლების შესაძლებლობა იმ მოდულებში, სადაც იკითხება თეორიული კურსები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გამართა შეხვედრები ფოკუს-ჯგუფებთან და ჩაატარა მინიმალური კვლევა მათ მოლოდინებთან და კმაყოფილების შესახებ. შეხვედრებმა აჩვენა, რომ სტუდენტების მოლოდინი მართლდება და მტკიცდება საზოგადოების ნდობა კოლეჯიისადმი.
საბიბლიოთეკო ფონდი შევსილია ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსით.
კოლეჯი დიდ ყურადღებას უთმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს განვითარებას. ამჟამად კოლეჯს არ ყავს ასეთი სტუდენტები.
პროფესიული სტუდენტებს კანონიერი უფლებები და ამავდროულად მოვალეობები გააცნეს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიოს თანამშრომლებმა, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა. შეხვედრებს ესწრებოდნენ კოლეჯის დირექტორი, ადმინისტრაციის თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელების და პროფესიული მასწავლებლები. გადაეცათ სტუდენტური გზამკვლევის ბროშურები. ჩატარდა პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების მინი კვლევა. კვლევის შედეგები იმედის მომცემია, თუმცა სტუდენტური აქტივობა არ იყო მაღალი.
კოლეჯში აღინიშნა ქართული ენის დღე, სტუდენტები ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ ტანძიაში. სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულია სტუდენტების ყველა აქტივობა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.
საანგარიშო წლის განმავლობაში კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები და პროფესიული მასწავლებლები დაესწრნენ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამართულ სხვადასხვა შეხვედრებსა და ტრენინგებს. შეხვედრებისა და ტრენინგების შემდეგ კოლეჯში მიმდინარეობდა მსჯელობა, თუ როგორ უნდა დაგვენერგა კოლეჯში მმართვის პროცესების მაღალი სტანდარტები. რა საჭიროების წინაშე იდგნენ და რა უნარების განვითარება იყოს მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული თანამშრომლებისა თუ პროფესიული მასწავლებელთათვის. შეხვედრებსა და ტრენინგებზე დასწრებამ მოგვცა საშუალება გაგვეცნო და გავცნობოდით სხვადასხვა პროფესიულ კოლეჯებს. მიმდინარეობს ინტეგრირება პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემაში. ვიზიარებთ კოლეგენის საუკეთესო გამოცდილებას, რაც იძლევა საშუალებას გავაუმჯობესოთ და დავნერგოთ მართვის სისტემის მაღალი სტანდარტები.
გარდა ამისა, ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურმა ჩაატარა ტრენინგები შეფასების ინსტრუმენტების შერჩევასა და გამოყენებაზე. ასევე ტრენინგი ჩატარდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასა და გამოყენებაზე.
კოლეჯი ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით დროულად აწვდის დაინტერესებულ მხარეებს კოლეჯის სიახლეებსა და მიმდინარე პროცესებს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სისტემატიური დაკვირვებით. პროფესიული მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა აქტიური მუშაობის შედეგად სტუდენტები აქტიურად ჩაერთვნენ სასწავლო პროცესში. პროფესიული მასწავლებლები ცდილობდნენ საგანმანათლებლო რესურსებისა და ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას, გადიოდნენ კონსულტაციებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. გაიმართა შეხვედრები შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით. მასწავლებლები კოლეგიალურად უზიარებდნენ ერთმანეთს აზრს სასწავლო პროცესში მიღებული გამოცდილების შესახებ. დაიწყო საგანმანათლებლო პროცესების განვითარების პროცესი და დაწყებულია სწავლების თანამედროვე პროცესების დანერგვა.

კოლეჯის აქტიური მუშაობის შედეგად რეგიონში ნელ-ნელა იზრდება შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მიმართ ინტერესი და ცნობადობა.

2021 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი

1	ნაშთი წლის დასაწყისში	53
2	შემოსავლები	203649
3	შემოსავალი-სესხი	76185
4	მთლიანი სახელფასო ფონდი	129910
5	სახელფასო ფონდი (ადმინისტრაცია)	50665
6	სახელფასო ფონდი (მასწავლებლები)	79245
7	საშემოსავლო ხარჯი	16435
8	საპენსიო ხარჯი	4917
9	პროგრამების დამატება (ავტორიზაცია)	815
10	პროფ.პროგ. აღჭურვილობა და სასწავლო მასალა	15698
11	წახალისება/პრემია	9400

12	ჰიგიენური საშუალები	151
13	კომუნალური	2187
14	საკანცელარიო მასალები	2474
15	აუდიტი(იურიდიული, ბუღალტრული)	10010
16	იჯარა	13635
17	დაცვა	8144
18	საკომუნიკაციო მომს. (ინტერნეტი, eflow, საიტი, HR,ZOOM)	2858
19	სტუდენტური აქტივობები	340
20	საწვავი, ტრანსპორტი	450
21	ბანკის მომსახურება	2151
22	სესხი(ძირი+პროცენტი+გაცემა)	37625
23	სარემონტო სამუშაოები	20352
24	სხვა(სამეურნეო, საოფისე, კომპ.რეესტრი, დაზღვევა,პერს. მონაც.დაცვა და სხვა)	304
25	საწევრო-სკკა	600
26	დაზუსტებული წლიური ბიუჯეტი	278455